

პროფესიული მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამა შექმნა უფლების მოპოვების გარეშე	
პროგრამის სახელწოდება:	ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მკერავ-ტექნოლოგი
პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:	Tailor-technologist of women's light clothes
პროგრამის სახე:	პროფესიული მომზადება
განხორციელების ენა:	ქართული
სფერო:	072 - წარმოება და გადამუშავება
პარტნიორები:	
კვალიფიკაციის დონე:	3 - პროფესიული მომზადება
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:	8
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	12
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:	30
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	15
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	7
პროგრამის აღწერა	
<p>ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მკერავ-ტექნოლოგის პროგრამა მოიცავს მსუბუქი ტანსაცმლის გამოჭრას და მაღალხარისხიანი პროდუქციის კერვას. შეძლებთ მზა თარგების გადატანას ქსოვილზე და გამოჭრას. გამოჭრილი ცალკეული დეტალების შეერთებას სხვადასხვა გვირისტებით და ხარისხიანი პროდუქციის კერვას. ასევე შეისწავლით სხვადასხვა</p>	

ქსოვილების

შერჩევას. შეძლებთ დაიცვათ უსაფრთხოების ნორმები. შეძლებთ საკერავი მანქანის მომართვას სამუშაოს შესასრულებლად.

პროგრამის დასრულების შემდეგ თავისუფლად შეძლებთ დასაქმებას მცირე, საშუალო და დიდპროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ სამკერვალო სალონებში და ასევე წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი.

პროგრამის ხანგრძლივობა არის 8 კვირა, 96 საათი, კვირაში 12 საათი .

სწავლის შედეგების დადასტურება მოხდება პროგრამის ბოლოს პრაქტიკული დავალების წარმოდგენით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა შეძლოს ქალის მსუბუქი ტანსაცმლის (ქვედა კაბის, კაბის) მზა თარგებით

გამოჭრა და მასალაში შესრულება; ასევე ცალკეული დეტალების დამუშავება;

ხელისა და მანქანური გვირისტებით ნაწარმის კერვა და საბოლოო თბური-დანამკითი დამუშავება.

ხარისხიანი პროდუქციის შექმნა, შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

სწავლის შედეგები

სხვა სწავლის შედეგები

1. ტიპური სამუშაო გარემოში უსაფრთხოების წესების დაცვა
2. ტანსაცმლის დამზადებისთვის გამოყენებული მასალების ასორტიმეტის დახასიათება
3. ქალის სატანსაცმლე მასალების კონფექციონირება
4. ტანსაცმლის დეტალების შეერთებისა და საწყისი დამუშავების მეთოდების აღწერა.
5. ხელის გვირისტების, მანქანური ნაკერების და ტანსაცმლის დეტალების საწყისი დამუშავება.
6. ტანსაცმლის ძირითადი კვანძების დამუშავების მეთოდების აღწერა.
7. ქალის ქვედაკაბის და კაბის ძირითადი კვანძების ტექნოლოგიური დამუშავება
8. ქალის ქვედა კაბის მასალაში შესრულება
9. ქალის მსუბუქი კაბის მასალაში შესრულება

დასაქმების სფერო/სფეროები

072 - წარმოება და გადამუშავება (ვინრო სფერო)

დაშვების წინაპირობები

განათლება :საბაზო

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

1. გასაუბრება